დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ბექარ კილასონია

წევრები:

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -დიმიტრი ქარსელაძე

დარგის ექსპერტი (წევრი) "კომპიუტერული ქსელი და სისტემები"- ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 242576039

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 08 ივლისის, № N897363 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 27 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში (ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაილაში.). დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის(1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის(3.1. კომპონენტი) , დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის(4.1. კომპონენტი) და „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) 2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია. ასევე ვიზიტის ფარგლებში დეტალურად განიხილა მისია ხედვა ღირებულებები, შესაბამისი ოქმები, გაზიარების მექანიზმები, შემოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რაც ხელს უწყობდა ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 მარტის ჩათვლით, უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიმართულებით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა, მკაფიოდ განსაზღვრა, შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცება და თანამშრომლებისთვის გაცნობა.

4.1.1.2. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 მარტის ჩათვლით, უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა და პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებლობების ისეთი განაწილება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ და კოორდინირებულ განხორციელებას.

4.1.2.1. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 31 იანვრის ჩათვლით, უზრუნველყოს შინაგანაწესისა და შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა მიმართ მოქმედი საკითხების მკაფიო გამიჯვნა და დოკუმენტების პროფესიული განათლების განხორციელებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.2.1.1. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროგრამის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სრულად მობილიზება და 16 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით მათი რაოდენობრივი საკმარისობის, გამართულობისა და ხელმისაწვდომობის დადასტურება.

2.2.1.2. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პროფესიული განათლების მასწავლებელთა სრულად მობილიზება, მათზე მოდულების განაწილება და ინდივიდუალური დატვირთვის გაანგარიშება პროგრამის მდგრადი და უწყვეტი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2.2.1.3. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების თავისებურებების, მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიმართულებით და წარმოადგინოს განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

2.2.1.4. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების, პროგრამის განხორციელების, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით და შესაბამისი დოკუმენტაციით დაადასტუროს მისი კომპეტენციის გაძლიერება.

2.2.1.5. ექსპერტთა მიერ გაცემულია შესაბამისობის რეკომენდაცია, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსების სრულად მობილიზება, ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით განთავსება, აღრიცხვა და პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის მათი ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლამ მისია პროფესიული განათლების მიმართულების დამატების გათვალისწინებით განაახლა. მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის პროცესი განხორციელდა დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და შესაბამის კოლეგიურ ორგანოებში განხილვით. განახლებული მისია ასახავს დაწესებულების როლს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიწოდების მიმართულებით. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება. აღნიშნული ჩანაწერი ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების განხორციელება წარმოადგენს არა ერთჯერად აქტივობას, არამედ დაწესებულების გრძელვადიანი განვითარების ნაწილს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით განსაზღვრულია, რომ ახალი პროგრამის შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს პროგრამის თავსებადობას მისიასთან, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნებს, აგრეთვე სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს. დებულების თანახმად, პროფესიული პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებაზე. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიან და მცირე კონტინგენტიან დასახლებაში, რადგან პროფესიული განათლების ადგილზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს პირების პროფესიული უნარების განვითარებას, კვალიფიკაციის მიღებასა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას. შესაბამისად, დაწესებულების მისიაში პროფესიული განათლების მიმართულების ასახვა და მისი სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირება შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულება - ზოგადი და პროფესიული განათლების განხორციელება. სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ხოლო პროფესიული განათლების მიმართულებით გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებას როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით. აღნიშნული აყალიბებს დაწესებულების მრავალფუნქციურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროფილს და წარმოაჩენს მას როგორც ორგანიზაციას, რომელიც ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში უზრუნველყოფს სხვადასხვა მიზნისა და წინარე განათლების მქონე პირთათვის ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას.

დაწესებულების როლი განათლების სისტემაში დაკავშირებულია არა მხოლოდ ზოგადი განათლების მიწოდებასთან, არამედ პროფესიული უნარებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობის შექმნასთანაც. ამგვარი მიმართულება მოსწავლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას, ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად ან მისი დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების გზით განაგრძონ განვითარება და შეიძინონ კონკრეტულ პროფესიულ სფეროში საქმიანობისათვის საჭირო ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

სკოლის საქმიანობის განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ დაწესებულება მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში და მცირე კონტინგენტიანია. შესაბამისად, ზოგადი და პროფესიული განათლების შეთავსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სოფელ ლაილაშში განხორციელება დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას, პროფესიული განათლება მიიღონ საცხოვრებელ ადგილთან შედარებით ახლოს და შესაბამისი განათლების მისაღებად არ გახდნენ დამოკიდებული მხოლოდ სხვა მუნიციპალიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. ამრიგად, დაწესებულების მისიით გამოკვეთილია სკოლის საქმიანობის ძირითადი პროფილი, რომელიც აერთიანებს ზოგად და პროფესიულ განათლებას, განსაზღვრავს მის როლს განათლების უწყვეტობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში და წარმოაჩენს იმ მახასიათებლებს, რომლებიც დაწესებულებას მხოლოდ ზოგადი ან მხოლოდ პროფესიული განათლების განმახორციელებელი ორგანიზაციებისაგან განასხვავებს.

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის ხედვა და ღირებულებები განსაზღვრულია დაწესებულების მისიიდან გამომდინარე და შეესაბამება მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო მიმართულებებს. პროფესიული განათლების მიმართულების დამატების გათვალისწინებით, სკოლამ გადახედა ხედვას, რათა მასში ასახულიყო დაწესებულების სამომავლო განვითარება არა მხოლოდ ზოგადი, არამედ პროფესიული განათლების განხორციელების მიმართულებითაც. განახლებული ხედვა გამოხატავს სკოლის გრძელვადიან პერსპექტივაში სასურველ მდგომარეობას და მის მისწრაფებას, ჩამოყალიბდეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას უზრუნველყოფს მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო შესაძლებლობებით.

დაწესებულების ღირებულებები ასახავს იმ ძირითად ფასეულობებსა და პრინციპებს, რომელთა დაცვითაც სკოლა ახორციელებს და გეგმავს საქმიანობის განხორციელებას საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული ღირებულებები ქმნის დაწესებულების საქმიანობის საერთო საფუძველს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ურთიერთობის, გადაწყვეტილებების მიღებისა და საგანმანათლებლო პროცესების წარმართვის ძირითად მიდგომებს. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შინაარსობრივი ურთიერთკავშირი უზრუნველყოფს სკოლის განვითარების ერთიანი მიმართულების ჩამოყალიბებას და დაწესებულების საქმიანობის მის მიერ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები შემუშავდა შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ და განხილვისა და გაზიარების მიზნით წარედგინა სასკოლო საზოგადოებას. აღნიშნული პროცესი ემსახურებოდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებასა და დაწესებულების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერსიები მიღებულ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, რაც ადასტურებს მათ განხილვასა და დაწესებულების კოლეგიური მართვის ორგანოს მონაწილეობას.

დაწესებულების მიერ განსაზღვრული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე საშუალებით. აღნიშნული დოკუმენტები გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე, ასევე თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული სკოლის ფოიეში. ინფორმაციის გავრცელების ელექტრონული და ადგილზე ხელმისაწვდომი ფორმების გამოყენება დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ დაწესებულების დანიშნულებას, სამომავლო განვითარების ხედვასა და იმ ძირითად ფასეულობებს, რომელთა დაცვითაც სკოლა წარმართავს საგანმანათლებლო საქმიანობას.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელშიც ასახულია მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის №2-70 ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომების №1 და №2 ოქმები, რომლებშიც ასახულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების შემუშავება და განხილვა;
- პედაგოგიური საბჭოს №5 ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს №7 ოქმი, რომლითაც მიღებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო რედაქცია;
- სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სკოლის ოფიციალურ Facebook-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია;
- სკოლის ფოიეში მისიის, ხედვისა და ღირებულებების განთავსების დამადასტურებელი ფოტომასალა ან ვიზუალური დათვალიერების შედეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული სტუდენტის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. დებულება შემუშავებულია პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან, სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობასა და მისი სტატუსიდან გამომდინარე უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დებულებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის პროცედურები, შიდა და გარე მობილობის განხორციელების პირობები, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმები, კრედიტების გადატანა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლის შესაძლებლობა. ასევე მოწესრიგებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებასთან, შეფასების შედეგების გასაჩივრებასთან, განმეორებით შეფასებასთან, კვალიფიკაციის მინიჭებასა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები. შიდა რეგულაცია ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ან, არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობასა და ინტერესების გათვალისწინებას. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დებულებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ინფორმირებისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმებიც.

დაწესებულებას პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ფუნქციებიც განსაზღვრული აქვს. პროფესიული განათლების კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა მოიცავს სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოორდინაციას, პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგს, მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციას, შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერას. ამრიგად, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები მოიცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ძირითად სამართლებრივ და პროცედურულ გარანტიებს.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული სტუდენტების უფლებების, ვალდებულებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი საორგანიზაციო და საინფორმაციო ღონისძიებები. დებულების 27.2 პუნქტის შესაბამისად, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიული განათლების კოორდინატორი შეიმუშავებს საინფორმაციო „ბუკლეტს“, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია დაწესებულების სერვისებისა და შესაბამისი პერსონალის შესახებ და რომელიც პროფესიულ სტუდენტს დაწესებულებაში გამოცხადებისთანავე გადაეცემა. ამავე დებულების 27.3.1 პუნქტით პირდაპირ არის გათვალისწინებული პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. დებულების 27.5 პუნქტის თანახმად კი, პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან გაერთიანებულ შეხვედრებს ახორციელებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი/პროფესიული განათლების კოორდინატორი და, განსახილველი საკითხის შინაარსის მიხედვით, უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალის ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ 22.2–22.3 პუნქტების თანახმად, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის შინაარსი, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, იმ სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელთა მოთხოვნების დაცვაც პროფესიულ სტუდენტს სწავლის პერიოდში ევალება, ასევე ხელშეკრულების მოქმედებისა და შეწყვეტის პირობებს. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს.

პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების შიდა რეგულაციებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმიც განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. კერძოდ, დებულების 1.4 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, მათ შორის ვებგვერდის მეშვეობით, ხოლო პროფესიული სტუდენტები და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ აღნიშნულ ინფორმაციას და დაიცვან დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. დებულებით ასევე განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის კონკრეტული პროცედურები, მათ შორის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან, აღდგენასთან და შეწყვეტასთან, შიდა და გარე მობილობასთან, სწავლის შედეგების აღიარებასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და შეფასებასთან დაკავშირებული მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები დამატებით დარეგულირებულია დებულების 62-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღდგენისას, შიდა ან გარე მობილობისას, ასევე ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების შემდეგ სწავლის გაგრძელებისას.

პროფესიული სტუდენტის კანონიერი ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობაც. დებულების 39.5 პუნქტი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების შედეგების გაცნობის, უკუკავშირის მიწოდებისა და დამატებითი შეფასების შესაძლებლობას, ხოლო 39.6 პუნქტით დეტალურად არის გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების აპელაციის პროცედურა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს როგორც შეფასების პროცესის მიმდინარეობა, ისე შეფასების შედეგი. განსაზღვრულია საჩივრის წარდგენის ვადები, სააპელაციო კომისიის შექმნის, საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები. მიღებული გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს წერილობით ეცნობება, ხოლო განმეორებითი შეფასების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროფესიული განათლების კოორდინატორი უზრუნველყოფს შესაბამისი შეფასების დაგეგმვას ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით.

ვინაიდან დაწესებულება ამ ეტაპზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესშია და მოქმედი პროფესიული სტუდენტები ჯერ არ ჰყავს, პროფესიული სტუდენტების მიერ აღნიშნული უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების ფაქტობრივი შეფასება შეუძლებელია. თუმცა წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით და დაგეგმილი საინფორმაციო-საორიენტაციო ღონისძიებებით შექმნილია პროფესიული სტუდენტების ინფორმირებისა და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებით სარგებლობისთვის საჭირო ორგანიზაციული საფუძვლები.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების შიდა რეგულაციების მიხედვით, სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის შესახებ ინფორმირებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებით სარგებლობის პროცედურები. პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაწყების ეტაპზე მიეწოდებათ ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების წესის, შეფასების კრიტერიუმების, შეფასების შედეგების, დამატებითი შეფასებისა და აპელაციის შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტთა ინფორმირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია პროფესიული განათლების კოორდინატორი, რომელიც ასევე ახორციელებს შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების მონიტორინგს.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ მოწესრიგებულია სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, დამატებითი შეფასების გამოყენების პირობები და შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა. პროფესიულ სტუდენტს აქვს დამატებითი შეფასებით სარგებლობის შესაძლებლობა დებულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, ხოლო დამატებითი შეფასების დაგეგმვასა და ორგანიზებას პროფესიული განათლების კოორდინატორი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით. ამავე დებულებით განსაზღვრულია შეფასების შედეგთან დაკავშირებით პროფესიული სტუდენტის მიერ აპელაციის წარდგენისა და მისი განხილვის მექანიზმი. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების კონსულტირების ვალდებულებაც. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის დადასტურების განმეორებით ჩატარებას და მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. აღნიშნული მექანიზმები ქმნის საფუძველს, რომ პროფესიული სტუდენტი შეფასების პროცესის დაწყებამდე იყოს ინფორმირებული შეფასების პირობებისა და კრიტერიუმების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში ისარგებლოს დადგენილი გასაჩივრების პროცედურით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიულ სტუდენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგების საკითხები განსაზღვრულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. დებულების თანახმად, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც იდება ერთხელ და მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს პროგრამის დასახელებას, რომელზეც პროფესიული სტუდენტია ჩარიცხული, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სწავლების საფასურსა და გადახდის პირობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში დასაცავი სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მისი შეწყვეტის წესსა და მხარეთა ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან სხვა პირობებს. აღნიშნული ჩანაწერები უზრუნველყოფს როგორც პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ისე დაწესებულების მიერ ნაკისრი ვალდებულებების მკაფიოდ განსაზღვრას. დებულებით გათვალისწინებულია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკაც. სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერენ სკოლის დირექტორი და თავად პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი, ასევე სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელშიც ასახულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის კანონით გათვალისწინებული უფლებები და კანონიერი ინტერესები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სკოლის ვალდებულებები.

ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისობაშია

5.დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების წესი განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება იმ შემთხვევებში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება სტანდარტული სასწავლო გეგმით შეუძლებელია, მათ შორის პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, შიდა ან გარე მობილობისას, ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას, ასევე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში. დებულებით განსაზღვრულია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ან პროფესიული განათლების კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან ან თანახელმძღვანელთან ერთად. გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს თავად პროფესიული სტუდენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების შესაბამისი მასწავლებლები. სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში პროცესში ერთვება შესაბამისი სპეციალისტიც, რათა გეგმა მაქსიმალურად იყოს მორგებული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებებზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი პროფესიულ სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან უნდა შეთანხმდეს. შეთანხმების დამადასტურებელ მტკიცებულებასთან ერთად გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება სკოლის დირექტორს. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში და მისი ინტერესების გათვალისწინებას. თუ დაწესებულება და პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე ვერ შეთანხმდებიან, დებულებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შიდა ან გარე მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა. ვინაიდან დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაუწყია და პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფაქტობრივი შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკა ამ ეტაპზე ვერ შეფასდება. თუმცა დაწესებულების შიდა რეგულაციით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, პროფესიული სტუდენტის ჩართულობის, შეთანხმებისა და დამტკიცების შესაბამისი პროცედურები..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- გასაუბრების შედეგები.

იოჰდნ ხლს
შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული პირების ფუნქციები, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 1 ივნისის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებით. დოკუმენტით ფუნქციები განაწილებულია პროფესიული განათლების კოორდინატორს, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რეესტრის წარმოების სპეციალისტს, შესყიდვების სპეციალისტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული განათლების მასწავლებელს შორის. პროფესიული განათლების კოორდინატორის პასუხისმგებლობები მოიცავს პროფესიული განათლების ფარგლებში მიმდინარე პროცესების კოორდინაციას, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვისა და სასწავლო ცხრილების შედგენას, პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგს, შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების კონტროლს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების წახალისებას, პროფორიენტაციისა და კარიერული სერვისების ორგანიზებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას. აღნიშნული ფუნქციები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების კოორდინირებულ მართვას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები უკავშირდება დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას, თვითშეფასების პროცესის კოორდინაციას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას, მონიტორინგის შედეგების ანალიზს, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებასა და მათი შესრულების მონიტორინგს. მის პასუხისმგებლობებში ასევე შედის შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, პერსონალის შერჩევისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა და პროგრამის განვითარებისათვის შესაბამისი მონაცემების ანალიზი. რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქციები მოიცავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამასთან, პერსონალთან, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ და სრულ ასახვას. შესყიდვების სპეციალისტის ფუნქციები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებისთვის საჭირო შესყიდვების დაგეგმვასთან, ხელშეკრულებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებასთან, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებში განსაზღვრულია პროგრამისა და მოდულების შემუშავებაში მონაწილეობა, პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი, სასწავლო გარემოს მზადყოფნის შემოწმება და პროგრამის განხორციელების პროცესის ხელმძღვანელობა. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვა, თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, სწავლის შედეგების შეფასება, შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება. სამუშაო აღწერილობები თითოეული პოზიციისთვის ასევე შეიცავს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და საჭირო უნარებს. ამასთან, თვითშეფასების პროცესში დაწესებულებამ დაადგინა, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული პოზიციები და მათი ფუნქცია-მოვალეობები ჯერ სრულად არ არის ინტეგრირებული სკოლის მოქმედ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საერთო შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში. აღნიშნული გარემოების გამოსწორების მიზნით, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 2026 წლის ივნისიდან 2027 წლის მაისამდე განსახორციელებელ ღონისძიებებს.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დაწესებულებას იდენტიფიცირებული პრობლემური მიმართულება. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად დაგეგმილია მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა და განვითარება, შესაბამისი ცვლილებების ასახვა, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა და განახლება, პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებულ პირთა ფუნქციების სკოლის საერთო მართვის სისტემასთან დაკავშირება და შესაბამისი შიდა დოკუმენტების კორექტირება. გეგმა ასევე ითვალისწინებს სკოლის შინაგანაწესის გადამუშავებას, რათა ერთმანეთისგან მკაფიოდ გაიმიჯნოს თანამშრომლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკითხები. განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად უნდა გადაიხედოს და დაკორექტირდეს სხვა დაკავშირებული შიდა დოკუმენტებიც. აღნიშნული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად ძირითადად განსაზღვრულია სკოლის დირექტორი, ხოლო შესრულების პროცესში ჩართული არიან საქმისმწარმოებელი, შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირები.

გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ინდიკატორებად მითითებულია განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, განახლებული ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტები, პერსონალთან გაფორმებული შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებები ან შეთანხმებები, შრომის შინაგანაწესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების განახლებული რედაქციები.

ინდიკატორი 4.1.1.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით პასუხისმგებლობები განაწილებულია სასწავლო პროცესის ორგანიზების, პროგრამის მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის, მონაცემთა ადმინისტრირების, რესურსების შესყიდვისა და უშუალოდ სწავლება-შეფასების მიმართულებების მიხედვით. აღნიშნული განაწილება ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი პროცესების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას. პროფესიული განათლების კოორდინატორი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, ორგანიზებასა და ადმინისტრაციულ კოორდინაციას; პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პროგრამის განხორციელებას, აკონტროლებს მის მოთხოვნებთან შესაბამისობას და სასწავლო გარემოს მზადყოფნას; პროფესიული განათლების მასწავლებლები უშუალოდ ახორციელებენ სწავლებისა და შეფასების პროცესს. რეესტრის წარმოების სპეციალისტს ევალება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი მონაცემების ასახვა, ხოლო შესყიდვების სპეციალისტი უზრუნველყოფს პროგრამისათვის საჭირო რესურსების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია გამიჯნულია სასწავლო პროცესის უშუალო ადმინისტრირებისა და განხორციელებისაგან. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელია დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგზე, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებაზე, ვერიფიკაციის პროცესზე, გამოვლენილი გარემოებების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ფუნქციების ამგვარი განაწილება ხელს უწყობს პროგრამის მართვის, განხორციელებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის კონტროლის პროცესების ერთმანეთისგან გამიჯვნას და ამავე დროს მათ კოორდინირებულად წარმართვას.

ამასთან, თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულება მიუთითებს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრული ფუნქციები ჯერ სრულად არ არის ინტეგრირებული სკოლის მოქმედ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საერთო შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციული სტრუქტურის, ფუნქცია-მოვალეობების, შინაგანაწესისა და დაკავშირებული დოკუმენტების გადახედვასა და განახლებას.

ინდიკატორი 4.1.1.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 1 ივნისის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებით. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქმიანობა ძირითადად მოიცავს დაწესებულების პროცესების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას, მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რეკომენდაციების მომზადებასა და მათი შესრულების კონტროლს. მის ფუნქციებში ასევე შედის შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პროცესის შეფასება, პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კონსულტირება.

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები გამიჯნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უშუალო დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და განხორციელების ფუნქციებისაგან. კერძოდ, პროფესიული განათლების კოორდინატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებაზე, სასწავლო ცხრილების შედგენაზე, პროფესიულ სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების მონიტორინგზე; პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პროგრამის განხორციელებას და ამოწმებს სასწავლო გარემოს მზადყოფნას, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლები უშუალოდ ახორციელებენ სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესს. ასეთი ფუნქციური განაწილება ქმნის საფუძველს, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებდეს პროცესების დამოუკიდებელ შეფასებას და არ იყოს მის მიერ შესაფასებელი საქმიანობის უშუალო შემსრულებელი.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისთვის განსაზღვრულია არა გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების, არამედ პროცესების შეფასების, შედეგების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების დირექტორისა და პასუხისმგებელი პირებისთვის წარდგენის ფუნქცია. მაგალითად, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში უშუალო გადაწყვეტილების მიღება არ წარმოადგენს მის ძირითად პასუხისმგებლობას - იგი აფასებს შერჩევის პროცესს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-78 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- „სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 1 ივნისის №2-71 ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მისი შესრულების დამადასტურებელი განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქცია-მოვალეობები და შიდა რეგულაციები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის №2-72 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკით“. აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს პერსონალის შერჩევის, დასაქმების, სამუშაო გარემოში ინტეგრირების, შენარჩუნებისა და მართვის ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციური საფუძვლები ასევე განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 1 ივნისის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღწერილობებით. სამუშაო აღწერილობებში პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრულია შესაბამისი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საქმიანობისთვის საჭირო უნარები. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები, მათ შორის, მოიცავს განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პროცესის შეფასებას, პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ამასთან, დაწესებულებას თავად აქვს იდენტიფიცირებული, რომ მოქმედი შინაგანაწესი საჭიროებს გადამუშავებას თანამშრომლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკითხების მკაფიოდ გამიჯვნის მიზნით. აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შინაგანაწესის, ფუნქცია-მოვალეობებისა და სხვა დაკავშირებული შიდა დოკუმენტების გადახედვასა და განახლებას.

შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა და დამტკიცებული აქვს შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, რაც ქმნის პერსონალის მართვის პროცესების ორგანიზებულად განხორციელების საფუძველს. თუმცა, ვინაიდან მოქმედი შინაგანაწესის გადამუშავებისა და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხების პროფესიული განათლების სპეციფიკასთან სრულად შესაბამისობაში მოყვანის პროცესი ჯერ მიმდინარეობს, საბოლოო შეფასებისთვის საჭიროა გადამოწმდეს განახლებული შინაგანაწესი, პერსონალის მართვის პოლიტიკის მოქმედი სრული ტექსტი, შრომითი ხელშეკრულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.

ინდიკატორი 4.1.2.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია

2.დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის შერჩევის საკითხები რეგულირდება სკოლის დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის №2-72 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკით“. პერსონალის მართვისა და შერჩევის პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორობის პრინციპებით. პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს. შერჩევის პროცესში პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმების საფუძველს ქმნის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 1 ივნისის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები. თითოეული პოზიციისთვის წინასწარ არის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი რეგულაციების ცოდნა, ტექნიკური და კომუნიკაციური უნარები. მაგალითად, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი მიმართულების პროფესიული განათლება, შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება ან საერთაშორისო სერტიფიცირება, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისთვის - არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელი აქტების ცოდნა. აღნიშნული მოთხოვნები შესაძლებლობას იძლევა, კანდიდატები შეფასდნენ პოზიციისთვის წინასწარ დადგენილი და ერთგვაროვანი კრიტერიუმების საფუძველზე. პერსონალის შერჩევის პროცესში ჩართულ პირთა ფუნქციებიც შესაბამის სამუშაო აღწერილობებშია განაწილებული. შერჩევის შედეგების საფუძველზე პერსონალის შესაბამის პოზიციაზე დანიშვნა/დასაქმება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი შიდა მარეგულირებელი მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის შედეგების ფორმალიზებას დაწესებულებაში მოქმედი წესებისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით შერჩეული პირების კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები განსაზღვრულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 1 ივნისის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობებით. დოკუმენტით თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის განათლების, სამუშაო გამოცდილების, პროფესიული ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების მიმართ მოთხოვნები. პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ სამუშაო აღწერილობებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება სკოლაში დაცული თანამშრომელთა პირადი საქმეებით, რომლებშიც განთავსებულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლურ და გუნდურ მუშაობაზე დამყარებულ პრინციპებს. აღნიშნული მიდგომები მიზნად ისახავს თანამშრომელთა საერთო მიზნების გარშემო კონსოლიდაციას, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და ორგანიზაციული ერთიანობის განმტკიცებას. დოკუმენტში ჩამოყალიბებული ამოცანები ხელს უწყობს თანამშრომელთა შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებასა და ისეთ ორგანიზაციული გარემოს შექმნას, რომელიც თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი პროფესიული პოტენციალის სრულად რეალიზებისა და თანაბარი ჩართულობის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისათვის. დაწესებულების სტრუქტურა და მმართველობითი პროცესები ეფუძნება კოლეგიალური მართვის პრინციპებს, რაც გამოიხატება სამუშაო შეხვედრების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთობლივი დაგეგმვისა და დოკუმენტების განხილვის აქტიური გამოყენებით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომელიც განხორციელდა თანამშრომელთა გუნდური ჩართულობით და ასახავს ერთობლივი მართვის წარმატებულ პრაქტიკას.

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 1 ივნისის №2-72 ბრძანება და ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც არეგულირებს პერსონალის შერჩევის, დასაქმების, მართვისა და შენარჩუნების პროცესებს;
- სკოლის მოქმედი შინაგანაწესი, ასევე მისი განახლებული რედაქცია, რომელშიც გამიჯნულია თანამშრომლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული საკითხები;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის №2-71 ბრძანება და პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები, მათ შორის დიპლომები, სერტიფიკატები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, დაკავებულ თანამდებობასთან კვალიფიკაციის შესაბამისობის დასადასტურებლად;
- სამუშაო ჯგუფების შექმნის ბრძანებები და მათი სხდომების ოქმები, რომლებიც ადასტურებს პერსონალის მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას;
- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის N2-76 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლაილაში
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	----------
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	16
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	16
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების შესახებ შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს. სკოლის მისიაში ასახულია პროფესიული განათლების განხორციელება, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება. პროგრამა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №2-76 ბრძანებით. მისი მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიციური კადრების მომზადება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების მიმართულებით. პროგრამა ითვალისწინებს როგორც ინტეგრირებულ, ისე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმას და განსაზღვრავს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებში.

დაწესებულებას შეფასებული აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. გაანგარიშების მიხედვით, სკოლას ერთ ცვლაში შეუძლია 8, ხოლო ორ ცვლაში - 16 პროფესიული სტუდენტის მომსახურება. ამასთან, პროგრამისათვის საჭირო მატერიალური და დამატებითი ადამიანური რესურსების სრულად მობილიზება გათვალისწინებულია სწავლის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე.

ამრიგად, პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება შინაარსობრივად უკავშირდება სკოლის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს და ეფუძნება დაწესებულების რესურსული შესაძლებლობების შეფასებას. თუმცა გადაწყვეტილების სრულყოფილი დასაბუთების დასადასტურებლად დამატებით შესწავლას საჭიროებს პროგრამის მიზანშეწონილობის ანალიზი და შრომის ბაზრისა თუ ადგილობრივი მოთხოვნის დამადასტურებელი კვლევები.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია განხორციელების შესაბამისი სასწავლო გეგმის მიხედვით. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე დაიშვება საბაზო განათლების მქონე პირი. აღნიშნული წინაპირობები შეესაბამება პროგრამის მეოთხე დონეს, მის მოცულობასა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს შესაბამისი წინარე განათლების მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირების ჩარიცხვას. აპლიკანტთა მიღებისა და ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია დირექტორის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. დებულება არეგულირებს პროგრამაზე მიღების გამოცხადებას, აპლიკანტთა რეგისტრაციას, შერჩევას, ჩარიცხვას, შესარჩევი კომისიის საქმიანობას, ტესტირების ან გასაუბრების შედეგების გასაჩივრებასა და ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენას. აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესის კოორდინაცია, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის, შესაბამის პასუხისმგებელ პირს ეკისრება.

პროგრამაზე განსხვავებული წინარე განათლების მქონე პირების მიღება გამიჯნულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმების მიხედვით. შესაბამისად, საბაზო განათლების მქონე აპლიკანტი სწავლას აგრძელებს იმ სასწავლო გეგმით, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ხოლო სრული ზოგადი განათლების მქონე პირი - არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს, რომ პროგრამაზე დაშვებული პირის წინარე განათლება შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს და შესაძლებელი იყოს განსაზღვრულ ვადაში სწავლის შედეგების მიღწევა.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია გაწერილი აქვს სკოლის დირექტორის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, სასწავლო გარემოების ტიპებს, მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანურ რესურსებს, პროფესიული სტუდენტების სამუშაო ადგილების რაოდენობასა და სასწავლო პროცესის ცვლებში ორგანიზების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაწესებულებას მომზადებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დოკუმენტი. გაანგარიშებისას შეფასებულია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი გარემო, კომპიუტერული ლაბორატორია, პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერის ხელმისაწვდომობა, C ტიპის გარემოსთვის საჭირო ტექნიკა და ინვენტარი, ასევე ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ლაბორატორია და ციფრული რესურსი.

გაანგარიშების მიხედვით, პროგრამისთვის გამოყოფილ სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში შესაძლებელია 8 პროფესიული სტუდენტის მომსახურება, ხოლო სასწავლო პროცესის ორ ცვლაში ორგანიზების შემთხვევაში - 16 პროფესიული სტუდენტის მიღება. შესაბამისად, პროგრამისთვის მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 16 პროფესიული სტუდენტით. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და დამატებითი ადამიანური რესურსების სრულად მობილიზება დაგეგმილია სწავლის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის დანართი №26 მოდულების მიხედვით განსაზღვრავს შესაბამის სასწავლო გარემოს, პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ქსელურ მოწყობილობებს, სერვერულ და პერიფერიულ საშუალებებს, სამუშაო ინსტრუმენტებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, მასალებსა და ნედლეულს. რესურსების რაოდენობა განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც პროფესიულ სტუდენტზე, ისე ჯგუფსა და სასწავლო გარემოზე, რაც ქმნის პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველს.

პროგრამის დანართი №25 მოიცავს ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსებს. ჩამონათვალში წარმოდგენილია სახელმძღვანელოები, პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის გზამკვლევები, ელექტრონული მასალები და შესაბამისი დარგობრივი ლიტერატურა. პროფესიული მოდულების რესურსები უკავშირდება კომპიუტერის აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფას, კომპიუტერული ქსელების მოწყობასა და ადმინისტრირებას, Windows და Linux ოპერაციულ სისტემებს, მარშრუტიზაციას, კომუტაციასა და ქსელური სერვისების გამართვას. წარმოდგენილი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შინაარსობრივად შეესაბამება პროგრამის მოდულებსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის ძირითად დოკუმენტში მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსები განსაზღვრულია პროგრამის ცალკე დანართებად, რაც უზრუნველყოფს მათ ურთიერთკავშირს პროგრამის შინაარსსა და სასწავლო გეგმებთან.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცების პროცედურა. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამა განიხილება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ხოლო შესაბამისი დასკვნა და პროგრამის სრული პაკეტი გადაეცემა სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორს. დებულების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის ბრძანებით. პროგრამის ძირითად დოკუმენტსა და თვითშეფასების ანგარიშში დამტკიცების აქტის რეკვიზიტად მითითებულია №2-76 ბრძანება. შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების შიდა რეგულაციით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში. პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და კლასიფიცირებულია მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინისა და ადმინისტრირების მიმართულებით - ISCED კოდით 0612. პროგრამის შინაარსი და მისაღწევი სწავლის შედეგები უშუალოდ შეესაბამება მის სახელწოდებას. პროგრამა მოიცავს კომპიუტერის აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფას, მცირე და საშუალო ზომის ქსელების მონტაჟსა და გამართვას, კომუტაციასა და მარშრუტიზაციას, Windows და Linux სერვერული სისტემების ადმინისტრირებას, ქსელურ სერვისებს, ვირტუალიზაციას, ღრუბლოვან პლატფორმებსა და ქსელში წარმოქმნილი გაუმართაობების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას. აღნიშნული კომპონენტები თანმიმდევრულად არის ასახული პროგრამის პროფესიულ მოდულებში. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება ზუსტად გამოხატავს მის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის მიმართულებას და არ ქმნის დაინტერესებული პირების შეცდომაში შეყვანის რისკს.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, მისანიჭებელ მეოთხე დონის კვალიფიკაციას, მიზანს, დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, დასაქმების შესაძლებლობებსა და პროგრამის სტრუქტურას. პროგრამაში პროფესიული, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების მოცულობები და კრედიტები ერთმანეთთან შესაბამისობაშია განსაზღვრული.

პროგრამა ითვალისწინებს როგორც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებულ, ისე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმებს. ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა შეადგენს 117 კრედიტს, ხოლო არაინტეგრირებული პროგრამის 87 კრედიტს. ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის A2 და B1 მოდულების გავლა იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროგრამაზე სწავლის უფლება კანონმდებლობით დადგენილი შერჩევის წესით, ქართულენოვანი კომპეტენციის დადასტურების გარეშე მოიპოვეს.

დოკუმენტში განსაზღვრულია სწავლის შედეგების დადასტურების, კრედიტის მინიჭებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები, დამატებითი შეფასების შესაძლებლობა და სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნები. სასწავლო გეგმებში ასახულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, საათობრივი დატვირთვა და პროგრამის ხანგრძლივობა.

ამდენად, პროგრამის ძირითადი სტრუქტურა და სავალდებულო კომპონენტები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის მისია და ხედვა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისა და დასაბუთების დოკუმენტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართებით, მათ შორის სასწავლო გეგმებით, მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალით;
- შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-76 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელდება სკოლის ბაზაზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამის დანართი №26 მოდულების მიხედვით განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ქსელურ და სერვერულ მოწყობილობებს, პერიფერიულ საშუალებებს, სამუშაო ინსტრუმენტებს, პროგრამულ უზრუნველყოფასა და საჭირო მასალა-ნედლეულს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მიხედვით, ერთ ცვლაში შესაძლებელია 8 პროფესიული სტუდენტის მომსახურება, ხოლო ორ ცვლაში - 16 პროფესიული სტუდენტის მიღება. ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისთვის სკოლა ასევე ითვალისწინებს შესაბამისი ლაბორატორიული გარემოს გამოყენებას. პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე სრულად მობილიზებული არ არის. არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმით გათვალისწინებულია პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსების იდენტიფიცირება, დამატებითი რესურსების მობილიზება, შესყიდვა და სასწავლო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განთავსება. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების პერიოდად განსაზღვრულია 2026 წლის ივნისი–ნოემბერი, ხოლო მათი დასრულების საბოლოო ვადაა 2026 წლის ნოემბრის ბოლო.

ინდიკატორი 2.2.1.1.მეტწილად შესაბამისია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი და ინტეგრირებული მოდულები განაწილებულია შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებზე. პროგრამის დამტკიცებულ დანართ №27-ში პროფესიული მოდულების განმახორციელებლად ასახულია ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელზეც განაწილებულია 14 პროფესიული მოდული. მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებაში თავად დაწესებულება მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი განმახორციელებლები სრულად მობილიზდება სწავლის დაწყებამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ასევე ითვალისწინებს ადამიანური რესურსის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის, განვითარებას პროფესიული განათლების, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. გეგმის კალენდარული გრაფიკით აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების პერიოდად განსაზღვრულია 2026 წლის ივნისი–ოქტომბერი, შესაბამისად, საბოლოო ვადაა 2026 წლის ოქტომბრის ბოლო

ინდიკატორი 2.2.1.2. მეტწილად შესაბამისია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამის ადამიანური რესურსის დანართის მიხედვით, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების განხორციელება განსაზღვრულია სკოლის შესაბამისი საგნობრივი მიმართულების კვალიფიციურ და სერტიფიცირებულ მასწავლებლებზე, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მოდულების სრული ბლოკის განმახორციელებლად მითითებულია ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. პირად საქმეებში დაცული დიპლომები, სერტიფიკატები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები ადასტურებს განმახორციელებელთა საგნობრივ ან დარგობრივ კვალიფიკაციას. თუმცა სკოლის მასწავლებელთა ზოგადსაგანმანათლებლო გამოცდილება თავისთავად სრულად ვერ ადასტურებს პროფესიული განათლების სპეციფიკის ცოდნას, მოდულური სწავლების დაგეგმვის, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასების კომპეტენციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე სრულად არ დასტურდება, რომ პროგრამის ყველა განმახორციელებელს გავლილი აქვს პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი გადამზადება. აღნიშნული საჭიროება დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებას პროფესიული განათლების თავისებურებების, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია 2026 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით.

ინდიკატორი 2.2.1.3. მეტწილად შესაბამისია

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის პროგრამის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. მასზე განაწილებულია კომპიუტერის აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფასთან, კომპიუტერულ ქსელებთან, Windows და Linux სისტემებთან, ქსელურ სერვისებთან, კომუტაციასა და მარშრუტიზაციასთან დაკავშირებული პროფესიული მოდულები. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება პირად საქმეში დაცული დიპლომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასლითა და სამუშაო გამოცდილების ცნობით. აღნიშნული კვალიფიკაცია და გამოცდილება დაკავშირებულია პროგრამის ტექნიკურ მიმართულებასთან, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით სრულად არ იკვეთება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ყველა მიმართულებით მისი კომპეტენციის დამადასტურებელი დეტალური ინფორმაცია, მათ შორის დარგობრივი სერტიფიკატები, შესაბამისი გადამზადება ან კონკრეტულად ქსელებისა და სისტემების მიმართულებით გამოცდილების აღწერა. დაწესებულებას აღნიშნული საჭიროება გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი პირების პროფესიულ განვითარებას პროფესიული განათლების სპეციფიკის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ღონისძიებების განხორციელების პერიოდად განსაზღვრულია 2026 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით, შესაბამისად, მათი დასრულების საბოლოო ვადაა 2026 წლის ნოემბრის ბოლო.

ინდიკატორი 2.2.1.4. მეტწილად შესაბამისია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართი №25-ის სახით ერთვის ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. რესურსები მოიცავს სახელმძღვანელოებს, მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის გზამკვლევებს, დარგობრივ ლიტერატურასა და ელექტრონულ სასწავლო მასალებს. ჩამონათვალით გათვალისწინებული რესურსების ნაწილი უკვე განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში და ხელმისაწვდომია ელექტრონული ან/და მატერიალური სახით, თუმცა საგანმანათლებლო რესურსების ფონდი ჯერ სრულად არ არის მობილიზებული. შესაბამისად, ამ ეტაპზე ვერ დასტურდება პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული რესურსის სრული ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გათვალისწინებულია პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსების მობილიზება და ბიბლიოთეკაში განთავსება. ღონისძიებების განხორციელების პერიოდად განსაზღვრულია 2026 წლის ივნისიდან 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით, შესაბამისად, მათი დასრულების საბოლოო ვადაა 2026 წლის ნოემბრის ბოლო. პასუხისმგებელ და ჩართულ პირებად განსაზღვრულია პროფესიული განათლების კოორდინატორი, პროგრამის განმახორციელებლები და ბიბლიოთეკარი, ხოლო შესრულების შედეგად სკოლას უნდა ჰქონდეს პროგრამის შესაბამისი, განახლებული და ხელმისაწვდომი ელექტრონული ან/და მატერიალური საბიბლიოთეკო ფონდი.

ინდიკატორი 2.2.1.5. მეტწილად შესაბამისია

6 . სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ არეგულირებს შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის საკითხებს. დებულების მიხედვით, ასეთი პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში სკოლა აფასებს მის ინდივიდუალურ საჭიროებებს და საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფს სპეციალისტის მოწვევას, საჭიროებაზე მორგებულ საგანმანათლებლო რესურსს, სასწავლო პროცესში ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და სხვა შესაბამის ღონისძიებებს.

საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც გამოიყენება მისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების სახელმძღვანელოდ. ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია სწავლების მიდგომებისა და მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტების, თემატიკისა და საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება ისე, რომ შენარჩუნდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები და კვალიფიკაციის მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს და განსაზღვრული აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და საჭირო რესურსების ადაპტირების მექანიზმები.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტები როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმებისთვის. ბიუჯეტებში ასახულია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურება, მასალა-ნედლეული, ადმინისტრირებისა და სხვა მიმდინარე ხარჯები.

დაწესებულება პროგრამის დაფინანსების წყაროდ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ვაუჩერულ დაფინანსებას, მათ შორის მაღალმთიან დასახლებაში პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შესაბამის კოეფიციენტებს. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მიმართულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურებაზე, ასევე გათვალისწინებულია მასალა-ნედლეულისა და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება. როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამისთვის განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო პროგრამისთვის მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 16 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, მოთხოვნილი რაოდენობა აღემატება რენტაბელობის მინიმალურ ზღვარს და პროგრამაზე არანაკლებ 5 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში საპროგნოზო შემოსავლები უზრუნველყოფს პროგრამის მიმდინარე ხარჯების დაფარვას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების სია დანართი N1;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, შესაბამისი მოდულებით, სწავლის შედეგებითა და განხორციელების პირობებით;
- პროგრამის დანართი №26 - მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, მოდულების მიხედვით განსაზღვრული ტექნიკის, მოწყობილობების, ინვენტარის, პროგრამული უზრუნველყოფისა და მასალა-ნედლეულის მითითებით;
- პროგრამის დანართი №27 - ადამიანური რესურსის ჩამონათვალი, პროფესიული განათლების მასწავლებლების, მათზე განაწილებული მოდულებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები - დიპლომები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილების ცნობები, CV-ები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროგრამის დანართი №25 - საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მატერიალური ფონდის აღრიცხვის დოკუმენტები და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმები - დანართები №28.1 „ა“, №28.1 „ბ“ და №28.2, რომლებიც გამოიყენება ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების განსაზღვრისათვის;
- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-77 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტები, სადაც ასახულია შემოსავლები, მასწავლებელთა ანაზღაურება, მასალა-ნედლეულის, ადმინისტრირებისა და სხვა საოპერაციო ხარჯები და განსაზღვრულია 5-სტუდენტიანი რენტაბელობის ზღვარი;
- პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ მიხედვით, პროგრამის შეფასება და განვითარება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და გააუმჯობესე. პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია შიდა და გარე შეფასების შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებები, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, საკანონმდებლო სიახლეები, ახალი ტექნოლოგიები და სხვა შიდა თუ გარე ფაქტორები.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში განსაზღვრულია დამსაქმებელთა კვლევა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენის მიზნით, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა, კურსდამთავრებულთა დასაქმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაჩვენებლების შესწავლა პროგრამის დასრულებიდან ექვს თვეში და მიღებული მონაცემების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება. პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველზე გათვალისწინებულია გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა და მათი განხორციელება.

დებულებაში საუკეთესო ადგილობრივი ან საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა პირდაპირ ცალკე ფორმულირებით არ არის მითითებული, თუმცა გარე შეფასების შედეგების, დარგში მიმდინარე ცვლილებებისა და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინება ქმნის ამგვარი პრაქტიკის გამოყენების შესაძლებლობას. მიზანშეწონილია, პროგრამის შეფასებისას საუკეთესო პრაქტიკის მოძიებისა და შედარების საკითხი მომავალში უფრო მკაფიოდ აისახოს შეფასების ინსტრუმენტებსა და ანგარიშებში

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის, რეკომენდაციების შემუშავებისა და პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცედურები. პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია განიხილება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული შესაბამისი პირების მონაწილეობით. გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები პროგრამაში ან მის ცალკეულ მოდულებში.

დებულება ასევე განსაზღვრავს, რომ პროგრამაში ცვლილებების საფუძველი შეიძლება გახდეს შიდა და გარე შეფასების შედეგები, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებები, დარგში მიმდინარე სიახლეები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. დაწესებულების ინიციატივით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაშვებია პროგრამის მიზნის, სწავლის შედეგების, მოდულების, სასწავლო გეგმის, რესურსებისა და პროგრამის განხორციელების სხვა კომპონენტების ცვლილება კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესის დაცვით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში შედის პროგრამის განხორციელების ხარისხის მონიტორინგი, შეფასების შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და მათი წარდგენა დაწესებულების ხელმძღვანელისთვის. ასევე გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.

პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არსებობს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების პრაქტიკული შედეგები ან მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები. თუმცა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შედეგების ანალიზისა და პროგრამის გაუმჯობესების შესაბამისი მექანიზმი, პასუხისმგებელი პირები და პროცედურები

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-78 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- „სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ვკომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მოდულების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული ლოგიკური წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40სთ-ს. სასწავლო გეგმით დაცულია ინტეგრირებული პროგრამების სპეციფიკურობა. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმა გაწერილია ორ წელზე. მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია კალენდარული გეგმის შემუშავების აუცილებლობა, ხოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის შემუშავდება სასწავლო ცხრილები.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს როგორც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმები დანართები №28.1 „ა“, №28.1 „ბ“ და №28.2. სასწავლო გეგმებში ასახულია პროგრამაში შემავალი მოდულები, მათი განხორციელების თანმიმდევრობა, საათობრივი მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები, შეფასება, კვირეული დატვირთვა და პროგრამის ხანგრძლივობა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სასწავლო გეგმები აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, დაცულია მოდულების წინაპირობები და ინტეგრირებული პროგრამის განხორციელების თავისებურებები. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილია ორ წელზე, ხოლო მოდულების განაწილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის თანმიმდევრულად გადასვლას საბაზისო ცოდნიდან უფრო რთული პროფესიული და პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებაზე. დაწესებულების შიდა დებულებით სასწავლო გეგმა განსაზღვრულია პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების ძირითად დოკუმენტად. მოდულების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელთა კალენდარული გეგმები უნდა შემუშავდეს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოდულის დაწყებისა და დასრულების ვადებისა და ინტენსივობის შესაბამისად. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გეგმები დამტკიცებულია და მათი სტრუქტურა ქმნის პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების საფუძველს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებაზე. პროგრამაში გათვალისწინებულია კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ქსელების მონტაჟისა და გამართვის, კომუტაცია-მარშრუტიზაციის, Windows და Linux სერვერული სისტემების, ვირტუალიზაციის, ღრუბლოვანი პლატფორმების, VoIP-ისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებული მოდულები. პროგრამა ასევე მოიცავს გაცნობით პრაქტიკასა და პრაქტიკულ პროექტს, რაც პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას ემსახურება. დაწესებულების შიდა დებულება იძლევა სწავლების მიდგომების, მეთოდების, თემატიკისა და საგანმანათლებლო რესურსების განახლების შესაძლებლობას იმ პირობით, რომ ცვლილება უკეთ გაითვალისწინებს სწავლების უახლეს მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას. დებულებით რეგულირდება პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური მეცადინეობისა და კონსულტაციის ორგანიზება, პროგრამის ცალკეული კომპონენტის ინდივიდუალურ რეჟიმში გავლა და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განისაზღვრება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების დროში განაწილების დოკუმენტად, რომელიც პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისი საჭიროების არსებობისას შესაძლებელია სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხანგრძლივობისა და ინტენსივობის, სწავლების მიდგომების, საგანმანათლებლო რესურსებისა და შეფასების ორგანიზების სტუდენტის შესაძლებლობებთან მორგება ისე, რომ არ შეიცვალოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები და კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნები. სსსმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში დებულება დამატებით ითვალისწინებს ინდივიდუალური საჭიროების შეფასებას, შესაბამისი მხარდაჭერისა და ადაპტირებული რესურსების განსაზღვრას, ინდივიდუალური მიმდინარე შეფასების განხორციელებასა და საჭირო სპეციალისტების ჩართვას. ამასთან, კრედიტის მინიჭება და კვალიფიკაციის მოპოვება დასაშვებია მხოლოდ პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მათი გამოვლენის, ინდივიდუალური მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის საჭიროებებზე მორგების შესაბამისი მექანიზმები

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დაწესებულების ბაზაზე, შესაბამის სასწავლო და იმიტირებულ გარემოში, პროგრამით განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების არჩეული მოდელი გარე პრაქტიკის ობიექტის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ზოგადი უსაფრთხო სასწავლო გარემო, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელდება სკოლის შენობაში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში.პროგრამის დარგობრივი სპეციფიკა არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებულ პირობებს, თუმცა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კომპიუტერულ ტექნიკასთან, ელექტრომოწყობილობებთან, ქსელურ მოწყობილობებსა და სამუშაო ინსტრუმენტებთან უსაფრთხოდ მუშაობის მოთხოვნები. პროგრამის სწავლის შედეგები და მოდულები უშუალოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს უსაფრთხოების ნორმების დაცვას. გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტმა სამუშაო გარემო უნდა მოაწყოს უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით და დაიცვას დაწესებულების შიდა და დარგობრივი წესები. პროგრამა ასევე მოიცავს მოდულს „კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა“, რომელიც ორიენტირებულია შესაძლო აპარატურული და პროგრამული რისკების გამოვლენასა და პრევენციაზე. დაწესებულების შიდა რეგულაციით გათვალისწინებულია პირველადი დახმარებისთვის საჭირო სივრცისა და შესაბამისი აღჭურვილობის არსებობა, კვალიფიციური პირის მიერ პირველადი დახმარების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პირების მხარდაჭერა. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებში ასევე შედის სწავლის დაწყებამდე სასწავლო ლაბორატორიისა და კლას-კაბინეტების მზადყოფნის შემოწმება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით განსაზღვრულია უსაფრთხოების ზოგადი და პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებული მექანიზმები. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მოთხოვნების პრაქტიკული დაცვა, მათ შორის ელექტრომოწყობილობების გამართულობა, კაბელებისა და ქსელური მოწყობილობების უსაფრთხო განთავსება და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმირება.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, საგანგებო სიტუაციების მართვისა და ევაკუაციის გეგმა;
- სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებისა და პირველადი დახმარების რესურსების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შევიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ დეტალურად განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემას. შეფასება შეიძლება იყოს განმავითარებელი ან განმსაზღვრელი, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნება კომპეტენციის დადასტურების პრინციპს „სწავლის შედეგი დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა“. შეფასების ფორმები და მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი მოდულებითა და სწავლის შედეგებით. დებულების მიხედვით, შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს ხუთ ძირითად პრინციპს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. ვალიდურობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველსაყოფად შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს შესაბამისი კონკრეტული სწავლის შედეგის დასადასტურებლად და იძლეოდეს ყველა შეფასების კრიტერიუმის შემოწმების შესაძლებლობას. სანდოობა ეფუძნება შეფასების მტკიცებულების შესწავლას, ხოლო ობიექტურობა გულისხმობს ერთნაირი შესრულების ერთნაირად შეფასებას. გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მიზნით პროფესიული სტუდენტისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი შეფასების პირობები, მოთხოვნები, კრიტერიუმები და შედეგების დადასტურების პროცედურები, ხოლო ყველა შესაფასებელი პირი უნდა იმყოფებოდეს თანაბარ პირობებში. დებულება ასევე ითვალისწინებს დამატებითი შეფასების შესაძლებლობასა და შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურას. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი შეფასებით პროგრამის დასრულებამდე და გაასაჩივროს მიღებული შედეგი დადგენილი წესით, რაც შეფასების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას დამატებით უზრუნველყოფს. პროგრამის ძირითად დოკუმენტშიც განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, სწავლის შედეგების დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების პირობები. დამტკიცებული რეგულაციებით შეფასების სისტემა სრულად არის გაწერილი და ითვალისწინებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის შესაბამის მექანიზმებს

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №2-78 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციის მიზანია შეფასების პროცესის, გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და მიღებული მტკიცებულებების შესაბამისობის შემოწმება შეფასების სისტემისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. ვერიფიკაციის პროცესში გათვალისწინებულია პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული მოდულების განმახორციელებლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული დარგობრივი სპეციალისტების მონაწილეობა. აღნიშნული მიდგომა იძლევა შეფასების პროცესის სხვადასხვა მხარის მონაწილეობით განხილვისა და გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობით მის ფუნქციებში პირდაპირ არის განსაზღვრული შეფასების პროცესის ვერიფიკაციის განხორციელება დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე მიღებული შედეგების ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, პროცესში მონაწილე პირები და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ფუნქცია

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, უწყისებისა და მტკიცებულებების აღრიცხვის, მიკვლევადობისა და შენახვის წესი. პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასებისას მტკიცებულებების შეგროვებას და მათ საფუძველზე შეფასების უწყისის შევსებას.

შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, რომელსაც აწარმოებს პროფესიული განათლების კოორდინატორი. ჟურნალი მოიცავს პროგრამის, ჯგუფის, მოდულის, შეფასების უწყისისა და შესაბამისი მტკიცებულებების მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას. კოორდინატორი პასუხისმგებელია მტკიცებულებების სათანადო შენახვასა და მიკვლევადობაზე. დებულების მიხედვით, შეფასების პროცესში შეგროვებული მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასებისა და დამატებითი შეფასების უწყისები პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პროფესიული განათლების კოორდინატორთან, ხოლო კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება უვადოდ. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მტკიცებულებების შეგროვების, აღრიცხვის, შენახვისა და მიკვლევადობის შესაბამისი პროცედურები და პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს მისი შემდგომი განვითარების დაგეგმვისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციებში შედის სტუდენტის კონსულტირება, შეფასების შედეგებზე უკუკავშირის მიწოდება და საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების ორგანიზება. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა, შეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების მიხედვით სტუდენტს გაეწიოს დამატებითი მხარდაჭერა და მიეცეს კონკრეტული მიმართულებები შედეგის გასაუმჯობესებლად. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარების მიზნით. ამ პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი შეფასება, ინდივიდუალური კონსულტაცია, დამატებითი დავალებები, განმეორებითი შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური მხარდაჭერის სხვა ღონისძიებები. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში შედის შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი, რაც ქმნის საფუძველს, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ სტუდენტის ინდივიდუალური განვითარების, არამედ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვისაც. დაწესებულებას შესაბამისი მექანიზმები და პასუხისმგებლობები განსაზღვრული აქვს.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 12 ივნისის №2-78 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- „სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 ივნისის №2-74 ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა;
- პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

14.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: